

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №150/ნ**

2003 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ. 169

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-13, 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე და 32-ე მუხლებისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მარტის ბრძანება №01-10/ნ - ვებგვერდი, 14.03.2013წ.

1. დამტკიცდეს:

ა) ფარმაცევტულ საბითუმო ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი (დანართი №1);

ბ) აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემისა და რეალიზაციის წესი (დანართი №2);

გ) ფარმაცევტულ საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გამოყენებისა და გაცემის წესი (დანართი №3);

დ) სტაციონარში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესი (დანართი №4);

ე) სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესი (დანართი №5);

ვ) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი (დანართი №6);

ვ¹) ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი (დანართი № 6¹);

ზ) ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ, საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერისა და განადგურების წესი (დანართი №7);

თ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა საბითუმო ბაზისათვის (დანართი №8);

ი) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის სპეციალური ფორმა (დანართი №9);

კ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა აფთიაქისათვის (დანართი №10);

ლ) საწარმოს განყოფილებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება-გადაბარების დოკუმენტის ფორმა (დანართი №11);

მ) საწარმოს ნედლეულის საწყობში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №12);

ნ) საწარმოს საამქროში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №13);

ო) საწარმოს მზა პროდუქციის საწყობში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სპეცკონტროლირებადი საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №14);

პ) სტაციონარის განყოფილებაში, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების მორიგე პერსონალზე გადაბარების ჟურნალის ფორმა (დანართი №15);

ჟ) სტაციონარის განყოფილებაში, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №16);

რ) აქტის ფორმა სტაციონარში (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში) გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებაზე (დანართი №17);

ს) აფთიაქში შემოსული ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალი (დანართი №18);

ტ) დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №19);

უ) ანალიზისათვის შემოსული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №20);

ფ) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №21);

ქ) გაუვარგისებული მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა ჩამოწერისა და განადგურების აქტის ფორმა (დანართი №22);

ღ) ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელ დაწესებულებაში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესი (დანართი №23);

ყ) სამარაგოში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №24);

შ) (ამოღებულია - 03.07.2014, №01-40/5);

ჩ) საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №26);

ც) საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების ყოველდღიური გადაბარების ჟურნალის ფორმა (დანართი №27);

ძ) აქტის ფორმა ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების გამოყენების შემდეგ დარჩენილი პირველადი შეფუთვისა და ტარის განადგურებაზე (დანართი №28);

წ) ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა (დანართი №29);

ჭ) ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების პაციენტზე გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა (დანართი №30).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 25 სექტემბრის ბრძანება №212/ნ-სსმIII, №146, 03.10.2008წ., მუხ.1457

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.169

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

2. ამ ბრძანების ამოქმედებიდან ძალადაკრულად ჩაითვალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 22 ივნისის ბრძანება №240/ნ „საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული შხამების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეპარატების ლეგალური ბრუნვის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების დამტკიცების შესახებ“ („სსმ III ნაწილი, №68, 28.06.2001).

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 15 დღეში.

ა. გამყრელიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №212/ნ-სსმIII, №146, 03.10.2008წ., მუხ.1457

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის ბრძანება №364/ნ-სსმIII, №136, 04.11.2009წ., მუხ.1551

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.169

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №01-76/ნ - ვებგვერდი, 30.12.2011წ.

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მარტის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 23.03.2012წ.

9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მარტის ბრძანება №01-10/ნ - ვებგვერდი, 14.03.2013წ.

10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

დანართი №1

ფარმაცევტულ საბითუმო ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი

1. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, გაცემისა და რეალიზაციის უფლება აქვს ამ საქმიანობაზე შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფარმაცევტულ საბითუმო ბაზას (შემდგომში – ბაზა).

2. ბაზაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბაზის ხელმძღვანელსა და მის მიერ ბრძანებით გამოყოფილ პირებს.

3. ბაზა ვალდებულია:

ა) ნარკოტიკული საშუალებები დანიშნულების ადგილამდე გადაიტანოს მხოლოდ პოლიციის ბადრაგის თანხლებით;

ბ) შეიძინოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული, სამკურნალო დანიშნულების სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, გარდა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

გ) საქართველოს ფარგლებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები შეიძინოს და აწარმოოს საბითუმო რეალიზაცია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან;

დ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №01-76/ნ - ვებგვერდი, 30.12.2011წ.

4. ბაზას ეკრძალება:

ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საცალო რეალიზაცია;

ბ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რეალიზაცია ხარისხის სერტიფიკატის გარეშე;

გ) ნარკოტიკული საშუალებების გაცემა ფარმაცევტულ საქმიანობაზე უფლებამოსილ იმ იურიდიულ პირზე, რომელსაც გაცემის მომენტისათვის არ ახლავს პოლიციის დაცვა.

დ) ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სამკურნალო საშუალებების რეალიზაცია მყიდვე-ლისათვის ადგილზე მიწოდების გზით (გარდა სტიქიური უბედურებების ან სხვა საგანგებო სიტუაციების დროს გათვალისწინებული შემთხვევებისას).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

5. ბაზაში ნარკოტიკული საშუალებების აღრიცხვისა და შემოსავალ-გასავლის ყველა საბუთი ინახება 5, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორებისა – 3 წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დოკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას) ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ ბაზის ხელმძღვანელი, ბაზაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციის მოწვეული წარმომადგენელი.

6. ბაზაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარება საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას დალუქულ, დანომრილ, ზონარგაყრილ და სააგენტოს ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში (დანართი №8).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

7. ბაზაში ფსიქოტროპული ნივთიერებები, პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების სახით) და ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში (ოთახებში), ცეცხლგამძლე სეიფში (სეიფებში); ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები; ბაზა, სადაც ინახება ამ პუნქტით გათვალისწინებული ნივთიერებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ ბაზა ვერ უზრუნველყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა და გაცემა დასაშვებია განხორციელდეს დადგენილი საცავიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრების ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, რაზეც ფორმდება შესაბამისი დოკუმენტი. აღნიშნულ საცავში ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი შეესაბამება ბაზიდან ნარკოტიკული საშუალებების მიღების, შეძენის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესს.

8. ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები (გარდა სუბსტანციებისა) ინახება ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში (ოთახებში), რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს რკინის კარებით და ფანჯრებზე გისოსებით.

9. სპეციალურად გამოყოფილი ოთახის და სეიფის გასაღებები ინახება სპეცკონტროლირებადი საშუალებების შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირთან (პირებთან).

10. ოთახი და სეიფი, სადაც ინახება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქება; ამ ოთახში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს.

11. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება წარმოებს ბაზის ხელმძღვანელის შიდა ბრძანებით გამოყოფილი მიმღები კომისიის მიერ.

კომისიის შემადგენლობაში შედიან:

- ა) კომისიის თავმჯდომარე (უმაღლესი ფარმაცევტული განათლებით);
- ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მოადგილეები);
- გ) შესაბამისი განყოფილების გამგე ან მისი მოადგილე;
- დ) ანალიზური ლაბორატორიის წარმომადგენელი.

12. ბაზის მიერ მიღებული ნარკოტიკული საშუალებების თითოეულ დასახელებაზე ივსება სააღრიცხვო ბარათი ან კომპიუტერული პროგრამით გათვალისწინებული აღრიცხვის ფორმა.

13. ბაზიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების სუბსტანციები გაიცემა მხოლოდ დალუქულ მდგომარეობაში; ეტიკეტზე აღინიშნება სუბსტანციის დასახელება, რაოდენობა, გამცემი ბაზის დასახელება, ლაბორატორიული ანალიზის და სერიის ნომრები, ვარგისიანობის ვადა და მოწმდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.

14. ბაზიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაიცემა მხოლოდ სათანადო მოთხოვნის (განაცხადის) და ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე.

15. მოთხოვნა ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე იწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნა მოწმდება იურიდიული პირის ბეჭდითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით.

16. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის წინ ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მოითხოვოს შესაბამისი ლიცენზია, გადაამოწმოს გაცემის საფუძველი (მოთხოვნა, მინდობილობა), გასაცემი სამკურნალო საშუალების შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტაციასთან, შეფუთვის, მარკირების და გაფორმების სისწორე, რის შემდეგაც ხელს აწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის სპეციალურ ფორმას (დანართი №9).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

დანართი №2

აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემისა და რეალიზაციის წესი

I. ზოგადი დებულებანი

1. აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის (მათ შორის, საბითუმო რეალიზაციის) უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქს. შესაბამისი ლიცენზიის მქონე I ჯგუფის აფთიაქს დამატებით უფლება აქვს მოამზადოს ნარკოტიკული საშუალებების შემცველი წამლის ფორმები.

2. აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ აფთიაქის ხელმძღვანელსა და მის მირ ბრძანებით გამოყოფილ პირს (პირებს).

3. აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარება საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას სააგენტოს ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში (დანართი №10);

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №01-76/ნ - ვებგვერდი, 30.12.2011წ.

4. აფთიაქი ვალდებულია:

ა) ნარკოტიკული საშუალებები დანიშნულების ადგილამდე გადაიტანოს მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით;

ბ) შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან შეიძინოს მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;

გ) ნარკოტიკული საშუალების ყოველი გაცემისას ფიზიკურ პირზე გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული ფორმით;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

5. აფთიაქს ეკრძალება:

ა) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების სუბსტანციების სახით საცალო რეალიზაცია;

ბ) ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გაცემა ინდივიდუალურ მეწარმეზე;

გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექსტემპორალური ფორმით მომზადება და გაცემა ექიმის მიერ გამოწერილი სპეციალური რეცეპტის ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე დაწესებულების ოფიციალური მოთხოვნის გარეშე;

დ) სიმპტომურ მკურნალობაზე მყოფ ონკოინკურაბელური და სომატური ავადმყოფებისათვის ნარკოტიკული საშუალებების არატერიტორიული პრინციპით გაცემა (რეალიზაცია) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე.

6. აფთიაქის ხელმძღვანელი ყოველი მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის ადარებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების ფაქტობრივ ნაშთს ჟურნალის ნაშთთან. მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში აფთიაქის ხელმძღვანელი ადგენს შესაბამის დოკუმენტს და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს სააგენტოს, რომელიც ვალდებულია შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეისწავლოს საკითხი და შედეგების შესახებ აცნობოს ბიუროს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

7. აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში, ცეცხლგამძლე სეიფში; ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქნმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები; აფთიაქი, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ აფთიაქი ვერ უზრუნველყოფს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, დასაშვებია ნარკოტიკული საშუალებების შენახვა და გაცემა განხორციელდეს შესაბამისი რაიონული პოლიციიდან ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში.

8. ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები ინახება ცალკე, ხის ან რკინის კარადაში, ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს რკინის კარებით და ფანჯრებზე გისოსებით.

9. სპეციალურად გამოყოფილი ოთახის (ოთახების), სეიფის და კარადის გასაღებები ინახება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე შესაბამისი ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან (პირებთან).

10. ოთახი (ოთახები) და სეიფი, სადაც ინახება სპეცკონტროლირებადი საშუალებები, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქება; ამ ოთახში (ოთახებში) შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს.

11. ავთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გაიცემა მხოლოდ სათანადო წესით შევსებული სპეციალური რეცეპტების (ფორმა №№1, 2) ან/და მასთან ხელშეკრულებით მომუშავე სამედიცინო, ფარმაცევტული, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური დაწესებულებისა და საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნისა (განაცხადის) და ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე.

12. მოთხოვნა ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და პრეკურსორებზე იწერება ცალ-ცალკე. სპეცკონტროლირებადი საშუალებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნა მოწმდება იურიდიული პირის ბეჭდითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით.

13. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გაცემის წინ ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია იურიდიული პირისაგან მოითხოვოს შესაბამისი ლიცენზია, გადაამოწმოს გაცემის საფუძველი (მოთხოვნა, მინდობილობა), გასაცემი სამკურნალო საშუალების შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტაციასთან, შეფუთვის, მარკირების და გაფორმების სისწორე, რის შემდეგაც ხელს აწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და კონტროლირებადი საშუალებების გაცემის სპეციალურ ფორმას (დანართი №9).

14. იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილ რეცეპტში მითითებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ავთიაქს გააჩნია სხვა დოზით ან სხვა სავაჭრო დასახელებით, ფარმაცევტს უფლება აქვს გასცეს ეს პრეპარატი რეცეპტში გამოწერილ დოზებთან შესაბამისობაში და მისცეს პაციენტს სათანადო განმარტება.

15. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემისას რეცეპტის მეორე გვერდზე კეთდება ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული მედიკანტის შესახებ წამლის სავაჭრო დასახელების, დოზის, რაოდენობისა და გაცემის თარიღის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერენ წამლის გამცემი და მიმღები პირები.

16. მიმდინარე სამუშაოებისათვის საასისტენტო ოთახში ნარკოტიკული საშუალებები გაიცემა სამარაგო განყოფილებიდან, მხოლოდ ავთიაქის დირექტორის ან მისი ბრძანებით უფლებამოსილი პირის მიერ.

17. ექსტემპორალურად მოსამზადებელი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემცველ წამლებზე რეცეპტის მიღებისას ფარმაცევტი ვალდებულია ამ ინგრედიენტის დასახელების ქვეშ გაუსვას წითელი ხაზი, დააზუსტოს ავადმყოფის ასაკი, შეამოწმოს დოზირების სისწორე და რეცეპტზე გამოწერილი ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთმანეთთან შეთავსება.

18. წამლის შემადგენლობაში შემავალი ნარკოტიკული საშუალებები (მხოლოდ სუბსტანციები) უნდა აიწონოს ფარმაცევტ-ტექნოლოგის მიერ, ფარმაცევტის თანაშემწის თანდასწრებით, რის შემდეგ შტანგლასი დაუყოვნებლივ ინახება კარადაში; აწონილი სუბსტანციისაგან წამალი მზადდება დაუყოვნებლივ; რეცეპტის უკანა მხარეს ხელს აწერენ, გაცემაზე – ფარმაცევტ-ტექნოლოგი, მიღებაზე – ფარმაცევტის თანაშემწე (სამკურნალო საშუალების დასახელებისა და რაოდენობის აღნიშვნით).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

19. ავთიაქში მომზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას ეტიკეტზე ან სიგნატურაზე უნდა ჰქონდეს ზუსტი და გარკვევით მიწერილი შესაბამისი წარწერა: „მინაგანი“, „გარეგანი“, „საინიექციო“, „თვალის წვეთები“, დამამზადებელი ავთიაქის დასახელება, წამლის შემადგენლობა, რაოდენობა, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, უშუალო დამამზადებლისა და ავთიაქიდან გამცემი პირის ხელმოწერები.

20. ავთიაქის ფარმაცევტი ვალდებულია:

ა) ნარკოტიკული საშუალების მიღებს წინასწარ დაუდგინოს წამლის მიღების დღე და საათი;

ბ) უზრუნველყოს ტერიტორიული პოლიკლინიკების სისტემატური ინფორმირება ავთიაქში არსებული ნარკოტიკული საშუალების რაობის, წამლის ფორმისა და დოზის შესახებ.

21. სტაციონართან (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურთან) ხელშეკრულებით მომუშავე ავთიაქიდან სპეცკონტროლირებადი საშუალებების გაცემა ხდება სტაციონარის (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის) მიერ გაცემული მოთხოვნისა და ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე; მოთხოვნა გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად წამლის დასახელების (ლათინურ ენაზე), დოზირებისა და რაოდენობის სრული მითითებით; მოთხოვნას ხელს აწერენ სტაციონარის (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის) ხელმძღვანელი, მიღებაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი პირები; ოთხი ეგზემპლარიდან ორი რჩება ავთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა ავთიაქის ბუღალტერიას, მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ხოლო ორი ეგზემპლარი უბრუნდება სტაციონარს (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს).

22. პოლიციის შენობაში ნარკოტიკული საშუალებები ინახება პოლიციის უფროსის მიერ შერჩეულ ოთახში განთავსებულ სეიფში.

23. პოლიციის შენობიდან ნარკოტიკული საშუალების მიღების, შექმნის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესი შეესაბამება ავთიაქიდან ნარკოტიკული საშუალების მიღების, შექმნის, აღრიცხვის, გაცემისა და რეალიზაციის წესს.

24. პოლიციის შენობაში ნარკოტიკული საშუალებების შესანახი ოთახის დაცვის ორგანიზაცია ეკისრება პოლიციის უფროსის მიერ ბრძანებით გამოყოფილ პირს.

25. სეიფში, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალებები, აკრძალულია იარაღის, პოლიციის კუთვნილი დოკუმენტაციის ან სხვა საგნების შენახვა.

26. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ავთიაქის პასუხისმგებელი ფარმაცევტი კეტავს და ლუქავს სეიფს. დალუქული სეიფი დადგენილი წესით ბარდება პოლიციის მორიგეს, ხოლო სეიფის გასაღები და ლუქის ბეჭედი ინახება ავთიაქის ფარმაცევტთან. სეიფის გახსნა ხდება მხოლოდ პოლიციის მორიგესთან ერთად ლუქის მთლიანობის შემოწმების შემდეგ. ლუქის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ავთიაქის ფარმაცევტი და პოლიციის მორიგე ვალდებული არიან აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციის უფროსს და სეიფი გახსნან მხოლოდ მისი ბრძანების შემდეგ.

27. ავთიაქში ნარკოტიკული საშუალებების აღრიცხვისა და შემოსავალ-გასავლის ყველა საბუთი ინახება 5, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორებისა – 3 წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დოკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ ავთიაქის ხელმძღვანელი, ავთიაქში კონტროლირებადი ნივთიერებების შექმნა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციიდან მოწვეული წარმომადგენელი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

დანართი №3

ფარმაცევტულ საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, გამოყენებისა და გაცემის წესი

1. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, გამოყენების, გაცემისა და რეალიზაციის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფარმაცევტულ საწარმოს (შემდგომში – საწარმო).

2. საქართველოში აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების წარმოება.

3. საწარმო ვალდებულია:

ა) შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან შეიძინოს მხოლოდ წარმოებისათვის საჭირო, საქართველოში რეგისტრირებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები;

ბ) აწარმოოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა;

გ) ნარკოტიკული საშუალებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოებისას, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალებათა ჩამონათვალს, უზრუნველყოს, რათა მათ შემადგენლობაში შემავალი ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა შეესაბამებოდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას

დ) სამკურნალო დანიშნულების ფსიქოტროპული ნივთიერებების წარმოება განახორციელოს სამინისტროს მიერ დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში;

ე) ნარკოტიკული საშუალებების საწარმოს ტერიტორიიდან გატანა ან საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანა განახორციელოს მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით;

ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული წესით მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალური ბრუნვის შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №01-76/ნ - ვებგვერდი, 30.12.2011წ.

4. საწარმოს უფლება აქვს:

ა) დადგენილი წესით შეიძინოს, საქართველოში შემოიტანოს კომბინირებული პრეპარატების წარმოებისათვის საჭირო ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების ან დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის სახით);

ბ) აწარმოოს სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ფსიქოტროპული ნივთიერებები, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალების შემცველი ის კომბინირებული პრეპარატები, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს;

გ) გასცეს ნარკოტიკული საშუალებები (სუბსტანციების სახით), აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებების სუბსტანციები და ან დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქცია შესაბამისი ლიცენზიის მქონე საწარმოზე;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს საწარმოზე რიცხული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ექსპორტი.

5. საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე, აგრეთვე საწარმო პროცესის მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ბრძანებით გამოყოფილ პირებს.

6. საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეტანაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიღების ადგილზე შეამოწმოს საქონლის რაოდენობის შესაბამისობა თანმხლებ დოკუმენტაციასთან.

7. საწარმოში ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები (მხოლოდ სუბსტანციების სახით), აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ უფანჯრო ოთახში (ოთახებში), ცეცხლგამძლე სეიფში (სეიფებში); ოთახს უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, რკინის კარები და გააჩნდეს ადგილობრივი შუქმთვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციები; საწარმო, სადაც ინახება ნარკოტიკული საშუალებები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეიარაღებული დაცვით.

8. საწარმოს ოთახები, სადაც ინახება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, სეიფები და კარადები, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ იკეტება და ილუქება. ოთახის, სეიფის, კარადების გასაღებები და ლუქის ბეჭედი ინახება ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

9. საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ერთი განყოფილებიდან მეორეში გადატანის და მიღება-გადაბარებისას ივსება ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №11-ით გათვალისწინებული დოკუმენტი.

10. საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს ყველა შესაბამის განყოფილებაში ხელმძღვანელის მიერ გაცემულ დალუქულ, დანომრილ, ზონარგაყრილ და დამოწმებულ სპეციალურ ჟურნალში (დანართი №12, 13, 14).

11. საწარმოში ნარკოტიკული საშუალებების აღრიცხვისა და შემოსავალ-გასავლის ყველა საბუთი ინახება 5, ხოლო ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორებისა – 3 წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დოკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რის შემდეგაც ნადგურდება შესაბამისი აქტით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ საწარმოს ხელმძღვანელი, საწარმოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციიდან მოწვეული წარმომადგენელი.

12. საწარმოს ხარისხის კონტროლის სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოძრაობაზე პასუხისმგებლები არიან ამ სამსახურის უფროსი და მზა პროდუქციის საწყობის გამგე.

13. საქართველოში წარმოებული ფსიქოტროპული ნივთიერებების, აგრეთვე საწარმოს მიერ შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას.

14. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საწყობიდან საწარმოო განყოფილებებში გადატანაზე, საწარმოო განყოფილებაში ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობაზე, მზა პროდუქციაზე და ამ პროდუქციის საწყობში გადატვირთვაზე

პასუხისმგებელია საწარმოო განყოფილების უფროსი, მისი მოადგილე და ტექნოლოგი (შესაბამის ეტაპებზე).

15. საწარმოს მზა პროდუქციის საწყობში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება, შენახვასა და აღრიცხვაზე პასუხისმგებელია მზა პროდუქციის საწყობის გამგე.

16. საწარმოდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გაიცემა:

ა) დადგენილი წესით გაფორმებული მოთხოვნისა და მინდობილობის საფუძველზე;

ბ) შეფუთული, კანონმდებლობით დადგენილი წესით მარკირებული, ანალიზის ნომრის მითითებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

დანართი №4

სტაციონარში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესი

I. ზოგადი დებულებანი

1. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, მომზადებისა და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო სტაციონარულ დაწესებულებას (შემდგომში – სტაციონარი).

2. სტაციონარში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა, მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და აღნიშნულ საქმიანობაზე ბრძანებით გამოყოფილ პირს (პირებს).

3. აკრძალულია დადგენილი წესის დარღვევით შექმნილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სტაციონარში შეტანა და ავადმყოფის საჭიროებისათვის გამოყენება.

4. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან.

5. სტაციონარში შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას და ეტიკეტზე უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის აღნიშვნები:

ა) სახელწოდება, წამლის ფორმა, შეფუთვაში მოთავსებული რაოდენობა;

ბ) შემადგენლობა რაოდენობების მითითებით;

გ) დამზადების თარიღი;

დ) ვარგისიანობის ვადა;

ე) სერია;

ვ) მწარმოებლის ფირმა და ქვეყანა;

წამალს უნდა ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია.

6. სტაციონარს ეკრძალება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა ან/და მიღება ამ წესის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აღნიშვნების გარეშე; აკრძალულია ნარკოტიკულ საშუალებათა დაფასოება, ტარის შეცვლა, გაწონვა, სხვა ჭურჭელში გადასხმა, ეტიკეტის ან სიგნატურის შეცვლა.

7. სტაციონარის განყოფილებების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად მორიგეობის საათებში, სადღესასწაულო და უქმე დღეების გათვალისწინებით, სპეციალურ კონტროლს

დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მორიგე ექიმს გადასცემს ამ სამკურნალო საშუალებების სავარაუდო მარაგს; პასუხისმგებელ პირსა და მორიგე ექიმებს შორის ნარკოტიკული საშუალებების გაცემის და მიღების გაფორმება ხდება სპეციალურ ჟურნალში (დანართი №15).

8. სტაციონარის განყოფილებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარება საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს დანომრილ, ზონარგაყრილ, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დალუქულ ჟურნალში (დანართი №16).

9. სტაციონარში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სააღრიცხვო დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში (თუ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ზოგიერთი დოკუმენტის უფრო ხანგრძლივი დროით შენახვას), რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ დაწესებულების ხელმძღვანელი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირები და პოლიციიდან მოწვეული წარმომადგენელი.

10. სტაციონარში ნარკოტიკული საშუალებები ავადმყოფს უკეთდება (ემლევა) სათანადო დასაბუთების საფუძველზე, ექიმისა და მედდის თანდასწრებით, რაც ფიქსირდება ავადმყოფობის ისტორიაში ინიექციის ან სხვა გზით მიღების თარიღის, საათის, მედიკამენტის რაობის (ლათინურ ენაზე), დოზის ერთეულის, წამლის ფორმისა და რაოდენობის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერენ ექიმი და მედდა, რომლებიც ესწრებოდნენ აღნიშნულ პროცედურას. გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულები ინახება და ბარდება შესაბამის მუდმივმოქმედ კომისიას.

11. ავადმყოფობის ისტორიაში უნდა დაფიქსირდეს ფსიქოტროპული ნივთიერების მიღების ფაქტიც. ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს ინიექციის ან სხვა გზით მიღების თარიღი, მედიკამენტის რაობა (ლათინურ ენაზე), დოზის ერთეული, წამლის ფორმა და რაოდენობა. ჩანაწერს ხელს აწერს ექიმი ან მედდა.

12. სტაციონარის ხელმძღვანელი ვალდებულია შექმნას მუდმივმოქმედი კომისია არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით, რომელიც ყოველ ათ დღეში ერთხელ უზრუნველყოფს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებას. მონაცემები განადგურებული ცარიელი ამპულების შესახებ ფიქსირდება სათანადო ფორმის აქტში (დანართი №17), რომელიც ინახება სტაციონარის ხელმძღვანელთან ან ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან ხუთი წლის განმავლობაში.

II. სტაციონარის აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და აფთიაქიდან გაცემის წესი

13. სტაციონარის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და მომზადების წესი რეგულირდება ამ ბრძანებით დამტკიცებული „აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემისა და რეალიზაციის წესის“ (დანართი №2) შესაბამისად.

14. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა და განყოფილებებზე გაცემა ხორციელდება მხოლოდ სტაციონარის აფთიაქის მეშვეობით.

15. აფთიაქის მქონე სტაციონარს უფლება აქვს იქონიოს ნარკოტიკული საშუალებების 3 თვის სავარაუდო მარაგი.

16. სტაციონარის ავთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვა, მომზადება, გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავთიაქის გამგეს ან/და მის მოადგილეს.

17. სტაციონარის ავთიაქს უფლება აქვს მოამზადოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები მხოლოდ წამლის ფორმის სახით. მომზადებულ ნარკოტიკულ საშუალებას ეტიკეტზე ან სიგნატურაზე უნდა ჰქონდეს ზუსტი და გარკვევით მიწერილი შესაბამისი წარწერა: „შინაგანი“, „გარეგანი“, „საინიექციო“, „თვალის წვეთები“, დამამზადებელი ავთიაქის დასახელება, წამლის შემადგენლობა, რაოდენობა, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, უშუალო დამამზადებლისა და ავთიაქიდან გამცემი პირის ხელმოწერები.

18. ავთიაქის მიერ მიღებული ან შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები რეგისტრირდება ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი №18).

19. ავთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ განყოფილების გამგე და განყოფილების უფროსი მედდა ან სხვა პასუხისმგებელი პირი, მოთხოვნას ხელმოწერით, ბეჭდითა და შტამპით ამოწმებს სტაციონარის ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება ან/და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი უბრუნდება განყოფილებას და ინახება აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან, მეორე ეგზემპლარი ავთიაქის ყოველთვიურ ანგარიშთან ერთად გადაეცემა სტაციონარის ბუღალტერიას, ხოლო მესამე – რჩება ავთიაქში და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს. მოთხოვნები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

20. ავთიაქში შემოსული მოთხოვნები ყოველდღიურად ჩაიწერება თანმიმდევრულად, ნომრების მიხედვით, დანომრილ, ზონარგაყრილ, სტაციონარის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებულ დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №19). საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას დაქვემდებარებულ მედიკამენტებზე მოთხოვნების ნომრებს გაესმება ხაზი. დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ჟურნალში სტაციონარის თითოეული განყოფილებისათვის გამოიყოფა ცალკე გვერდი.

III. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შენახვის, მიღების, აღრიცხვისა და გაცემის წესი იმ სტაციონარში, რომელსაც არ გააჩნია ავთიაქი

21. სტაციონარი, რომელსაც არ გააჩნია ავთიაქი, ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენაზე, ძირითადი მარაგის შენახვასა და მომზადებაზე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე ავთიაქთან (ავთიაქებთან).

22. სტაციონარი ვალდებულია ნარკოტიკული საშუალებები მიიღოს მხოლოდ მზა წამლის ფორმის სახით.

23. ავთიაქთან ხელშეკრულებით მომუშავე სტაციონარს უფლება აქვს იქონიოს ნარკოტიკული საშუალებების 15 დღის მარაგი, რაც უნდა ინახებოდეს სეიფში ან რკინის კარადაში, დაწესებულების

ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

24. სტაციონართან ხელშეკრულებით მომუშავე აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები მიღება ხდება სტაციონარის ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილი პირის მიერ, მოთხოვნისა და ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე; ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება ან/და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა, რომელსაც ხელს აწერენ სტაციონარის ხელმძღვანელი და ამ საშუალებების მიღებაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემლარი რჩება აფთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა აფთიაქის ბუღალტერიას, მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ხოლო ორი ეგზემპლარი უბრუნდება სტაციონარს, რომელთაგან ერთი გადაეცემა სტაციონარის ბუღალტერიას, ხოლო მეორე – რჩება შესაბამის პასუხისმგებელ პირს. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით. აქტში მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტის სახეობა, ნომერი, იმ სპეცკონტროლირებადი საშუალებების რაობა და რაოდენობა, რომელზეც გამოწერილი იყო აღნიშნული დოკუმენტი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ სტაციონარის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი მუშაკები, არანაკლებ ოთხი პირის შემადგენლობით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

დანართი №5

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესი

I. ზოგადი დებულებანი

1. ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, მიღების, შენახვის, გაცემისა და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე საწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დაწესებულებას (შემდგომში – სგსდ-ის სამსახური).

2. სგსდ-ის სამსახურში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ბრძანებით გამოყოფილ პირებს.

3. აკრძალულია არაოფიციალური გზით ან აფთიაქის გვერდის ავლით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სგსდ სამსახურში შეტანა და ავადმყოფის საჭიროებისათვის გამოყენება.

4. სგსდ-ის სამსახურის საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემენა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან.

5. სგსდ-ის სამსახურის მიერ შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეფუთვის ფორმა უნდა გამორიცხავდეს მისი მთლიანობის დაურღვევლად წამალთან შეხების შესაძლებლობას და ეტიკეტზე უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის აღნიშვნები:

- ა) სახელწოდება, წამლის ფორმა, შეფუთვაში მოთავსებული რაოდენობა;
 - ბ) შემადგენლობა რაოდენობების მითითებით;
 - გ) დამზადების თარიღი;
 - დ) ვარგისიანობის ვადა;
 - ე) სერია;
 - ვ) მწარმოებლის ფირმა და ქვეყანა;
- წამალს უნდა ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია.

6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ექვემდებარებიან საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს დანომრილ, ზონარგაყრილ, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დალუქულ ჟურნალში (დანართი №16).

7. თითოეულ ბრიგადას უნდა გააჩნდეს ინდივიდუალური ყუთი, რომელშიც უნდა ინახებოდეს მხოლოდ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების 24- საათიანი მორიგეობისათვის საჭირო სავარაუდო მარაგი. ბრიგადაში ინდივიდუალურ ყუთზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელ ექიმს.

8. სგსდ სამსახურში ინდივიდუალური ყუთები ინახება ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რომელიც მორიგეობის დაწყებამდე აღნიშნულ ყუთებს გადასცემს მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელ ექიმს.

9. პასუხისმგებელ პირსა და მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელ ექიმებს შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემისა და მიღების გაფორმება ხდება სპეციალურ ჟურნალში (დანართი №15).

10. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი სგსდ სამსახურის პასუხისმგებელ პირს უბრუნებს ინდივიდუალურ ყუთს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელ ამპულებთან ერთად. სგსდ-ის სამსახურის პასუხისმგებელი პირი ადარებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემულ და დაბრუნებულ რაოდენობას, რაობას და სპეციალურ ჟურნალში აფიქსირებს შესაბამის ჩანაწერს, რასაც ხელს აწერენ პასუხისმგებელი პირი და მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი. ცარიელი ამპულები გადაეცემა ამ წესის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ კომისიას.

11. იმ შემთხვევაში, თუ გამოძახების შესრულებისას ავადმყოფს გაუკეთდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი ავსებს სპეციალურ ფორმას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ავადმყოფის სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, დიაგნოზი, გამოძახების რიგითი ნომერი, გამოძახების შესრულების თარიღი, გამოყენებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დასახელება, წამლის ფორმა, საზომი ერთეული და რაოდენობა. ფორმას ხელს აწერს ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფზე გამოყენებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება, ფორმას ხელს აწერენ ბრიგადის ხელმძღვანელი ექიმი და მედდა (ან ექიმი). გამოძახების ბარათში, რომელიც ივსება ყოველ მომსახურებულ ავადმყოფზე, იწერება კურსუსი, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული ბარათები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

12. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ავადმყოფს უკეთდება ხელმძღვანელი ექიმისა და მედდის (ან ექიმის) თანდასწრებით.

13. აკრძალულია ნარკოტიკული საშუალების ავადმყოფის საჭიროებისათვის დატოვება.

14. სგსდ-ის სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია შექმნას მუდმივმოქმედი კომისია არანაკლებ სამი პირის შემადგენლობით, რომელიც ყოველ ათ დღეში ერთხელ უზრუნველყოფს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებას. მონაცემები განადგურებული ცარიელი ამპულების შესახებ ფიქსირდება სათანადო ფორმის აქტში (დანართი №17), რომელიც ინახება დაწესებულების ხელმძღვანელთან ან ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან ხუთი წლის განმავლობაში.

II. სგსდ-ის სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესი

15. სგსდ-ის სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენის, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესი რეგულირდება ამ ბრძანებით დამტკიცებული „აფთიაქში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადების, გაცემისა და რეალიზაციის წესის“ (დანართი №2) შესაბამისად.

16. აფთიაქის მქონე სგსდ-ის სამსახურს უფლება აქვს შეინახოს ნარკოტიკული საშუალებების 3 თვის სავარაუდო მარაგი.

17. სგსდ-ის სამსახურის აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვა, გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აფთიაქის გამგეს ან/და მის მოადგილეს.

18. აფთიაქის მიერ შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები რეგისტრირდება ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი №18).

19. აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების პასუხისმგებელ პირზე გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს დაწესებულების პასუხისმგებელი პირი. მოთხოვნას ხელმოწერით, ბეჭდითა და შტამპით ამოწმებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეცკონტროლირებადი საშუალებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი უბრუნდება პასუხისმგებელ პირს და ინახება მასთან, მეორე ეგზემპლარი აფთიაქის ყოველთვიურ ანგარიშთან ერთად გადაეცემა სგსდ-ის სამსახურის ბუღალტერიას, ხოლო მესამე – რჩება აფთიაქში და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს. მოთხოვნები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

20. აფთიაქში შემოსული მოთხოვნები ყოველდღიურად ჩაიწერება თანმიმდევრულად, ნომრების მიხედვით, დანომრილ, ზონარგაყრილ, სგსდ-ის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებულ დანიხრული მოთხოვნების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №19).

საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას დაქვემდებარებულ მედიკამენტებზე მოთხოვნების ნომრებს გაესმება ხაზი.

III. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნის, შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესი იმ სგსდ-ის სამსახურში, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი

21. სგსდ-ის სამსახური, რომელსაც არ გააჩნია აფთიაქი, ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები შექმნასა და ძირითადი მარაგის შენახვაზე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე აფთიაქთან (აფთიაქებთან).

22. სგსდ-ის სამსახური ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეიძინოს მხოლოდ მზა წამლის ფორმის სახით.

23. სგსდ-ის სამსახურს უფლება აქვს შეინახოს ნარკოტიკული საშუალებების ერთი თვის სავარაუდო მარაგი.

24. ხელშეკრულებით მომუშავე აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების პასუხისმგებელ პირზე გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს დაწესებულების პასუხისმგებელი პირი. მოთხოვნას ხელმოწერით, ბეჭდითა და შტამპით ამოწმებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ნარკოტიკულ საშუალებებზე, ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და პრეკურსორებზე მოთხოვნა გამოიწერება ცალ-ცალკე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები გამოიწერება სხვა სამკურნალო საშუალებებისაგან განცალკევებით, ლათინურ ენაზე, დასახელების, წამლის ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება და პრეკურსორი. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება აფთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა აფთიაქის ბუღალტერიას, მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ხოლო ორი ეგზემპლარი უბრუნდება სგსდ-ის სამსახურს, რომელთაგან ერთი რჩება შესაბამის პასუხისმგებელ პირთან ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა ბუღალტერიას. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით. აქტში მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტის სახეობა, ნომერი, იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების რაობა და რაოდენობა, რომელზეც გამოწერილი იყო აღნიშნული დოკუმენტი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ დაწესებულების ხელმძღვანელი, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნა, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი მუშაკები, არანაკლებ ოთხი პირის შემადგენლობით.

დანართი №6

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში ნარკოტიკული საშუალებების, ფიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი

1. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური საქმიანობის განხორციელების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების, ფიქოტროპული ნივთიერებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვისა და გამოყენების უფლება აქვს შესაბამისი

ლიცენზიის მქონე სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებას და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიას (შემდგომში – დაწესებულება).

2. დაწესებულებას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შექმნის ან მიღების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიული პირისაგან.

3. დაწესებულებას თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეკრძალება უკანონო ბრუნვიდან ამოღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენება, თუ არ ახლავს მისი რაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეტანისას დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ მათ მიღება, შენახვა, აღრიცხვასა და გაცემაზე ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი ამოწმებს მათი ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისობას თანმხლებ დოკუმენტაციასთან.

5. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ინახება ოთახში განთავსებულ რკინის კარადაში; ოთახი უნდა იკეტებოდეს; ოთახის და კარადის გახსნის უფლება აქვს სპეცკონტროლირებადი სამუალებების მიღებაზე, აღრიცხვაზე და შენახვაზე ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირს.

6. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების აღრიცხვა წარმოებს დანომრილ, ზონარგაყრილ, დალუქულ და დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ წიგნში (დანართი №21).

7. აკრძალულია დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების შემდეგ მათი გამოყენების ადგილზე დატოვება.

8. დაწესებულებაში მიმდინარე სამუშაოების ჩასატარებლად პასუხისმგებელი პირის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საჭირო ნივთიერების დასახელება და რაოდენობა; მოთხოვნას ხელს აწერენ დაწესებულების ხელმძღვანელი და პირი, რომელიც უშუალოდ ატარებს სამუშაოს.

9. საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის მიერ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საანალიზოდ აღების დროს დგება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამკურნალო სამუალების სინჯის აღების აქტი.

10. საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში საანალიზოდ შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ანალიზის შემდეგ საკონტროლო ნიმუშები ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით, რის შემდეგაც შესაბამისი აქტის გაფორმებით გამოიყენება ლაბორატორიული მიზნებისათვის ან ნადგურდება დადგენილი წესით; საანალიზოდ შემოსული სინჯების აღრიცხვა წარმოებს სპეციალურ ჟურნალში (დანართი №21) და მათ შესახებ დოკუმენტაცია ინახება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის გაფორმებით.

დანართი №6

ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული სამუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შექმნის, შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების წესი

1. ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებები (შემდგომში – დაწესებულება) ვალდებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო სამუალებების შექმნაზე ხელშეკრულება გააფორმოს მხოლოდ შესაბამისი უფლების მქონე აფთიაქთან (აფთიაქებთან).

2. დაწესებულებას ეკრძალება ნარკოტიკული საშუალებების შეძენა და შენახვა, გარდა „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 10 ივლისის №157/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების შეძენა, შენახვა, აღრიცხვასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და აღნიშნულ საქმიანობაზე ბრძანებით გამოყოფილ პირს (პირებს).

4. აფთიაქიდან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების მიღება ან/და შეძენა ხდება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით გამოყოფილი პირის მიერ, მოთხოვნისა და ერთჯერადი მინდობილობის საფუძველზე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები გამოიწერება სხვა მედიკამენტებისაგან განცალკევებით, წამლის დასახელების, ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე ნებადართულია რამდენიმე დასახელების სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გამოწერა. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემის შემდეგ მოთხოვნაზე ხელს აწერენ მისი მიმღები და გამცემი პირები. მოთხოვნა, რომელსაც ხელს აწერენ დაწესებულების ხელმძღვანელი და მის მიერ ბრძანებით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, გამოიწერება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი რჩება აფთიაქში (აქედან ერთი გადაეცემა აფთიაქის ბუღალტერიას, მეორე წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს), ხოლო ორი ეგზემპლარი უბრუნდება დაწესებულებას, რომელთაგან ერთი გადაეცემა ბუღალტერიას, ხოლო მეორე – შესაბამის პასუხისმგებელ პირს.

5. აკრძალულია დადგენილი წესის დარღვევით შეძენილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების დაწესებულებაში შეტანა და ავადმყოფის საჭიროებისათვის გამოყენება.

6. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები ინახება დირექტორის, მისი მოადგილის ან ექიმის ოთახში განთავსებულ სეიფში ან რკინის კარადაში. ოთახის და სეიფის (რკინის კარადის) გასაღები ინახება დაწესებულების ხელმძღვანელთან ან/და მის მიერ გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

7. დაწესებულებას უფლება აქვს შეინახოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების სამი თვის სავარაუდო მარაგი.

8. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები ექვემდებარებიან საგნობრივ-რაოდენობრივ აღრიცხვას. აღრიცხვა უნდა წარმოებდეს დანომრილ, ზონარგაყრილ, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დალუქულ ჟურნალში, რომლის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დამტკიცებულ № 16 დანართს.

9. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების სააღრიცხვო დოკუმენტაცია ინახება ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სათანადო აქტის შედგენით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს განადგურებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, განადგურების თარიღი. აქტს ხელს უნდა აწერდნენ დაწესებულების ოთხი თანამშრომელი, მათ შორის, ხელმძღვანელი და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეძენა-შენახვაზე დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით დამტკიცებული პირი, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი (პირები).

10. დაწესებულებაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები ავადმყოფს უკეთდება (ეძლევა) სათანადო დასაბუთების საფუძველზე, რაც ფიქსირდება

ავადმყოფობის ისტორიაში. ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს ინექციის ან სხვა გზით მიღების თარიღი, მედიკამენტის დასახელება, წამლის ფორმა და რაოდენობა.

11. ღამის საათების, აგრეთვე სადღესასწაულო და უქმე დღეების გათვალისწინებით, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების შენახვასა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირი წამლის გამოყენებაზე უფლებამოსილ მორიგე პერსონალს გადასცემს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების სავარაუდო მარაგს; პასუხისმგებელ პირსა და მორიგე პერსონალს შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემისა და მიღების გაფორმება ხდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დალუქულ ჟურნალში, რომლის ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ამ ბრძანებით დამტკიცებულ №15 დანართს.

13. გაუვარგისებული და ვადაგასული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ჩამოწერა-განადგურება ხორციელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად (დანართი №7).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.169

დანართი №7

ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ, საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერისა და განადგურების წესი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მარტის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 23.03.2012წ.

1. ფარმაცევტულ, სამკურნალო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ, საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ჩამოწერა და განადგურება ხდება:

ა) ვარგისიანობის ვადის გასვლისას;

ბ) სტანდარტთან შეუსაბამობისას;

გ) თუ ისინი დარჩენილია ამბულატორიული ან სტაციონარული ავადმყოფის მკურნალობის შემდეგ, ასევე მკურნალობის შეწყვეტის ან გარდაცვალების გამო;

დ) სხვა შემთხვევაში, თუ არსებობს სამედიცინო ან/და ფარმაცევტული დაწესებულების ხელმძღვანელის არგუმენტირებულ მოთხოვნაზე სააგენტოს თანხმობა.

2. დაწესებულებაში, სადაც ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწერა, ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება კომისია, შემდგარი არანაკლებ 3 პირისაგან (პოლიციის თანამშრომლის აუცილებელი მონაწილეობით), რომელიც ადგენს გაუვარგისებულ მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა ჩამოწერა-განადგურების აქტს თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი №22). სავალდებულოა აქტში მითითებული ყველა მონაცემის სრულყოფილად შევსება. რომელიმე მონაცემის შეუვსებლობის შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი აქტს თან ურთავს ახსნა-განმარტებას აღნიშნულის შესახებ. აქტის სამივე ეგზემპლარი ინახება ჩამოწერილ მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობებთან ერთად დალუქულ მდგომარეობაში.

3. ნარკოტიკული საშუალების (გარდა ამბულატორიული ან სტაციონარული ავადმყოფის მკურნალობის ან მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ნარკოტიკული საშუალებებისა) ჩამოწერა-განადგურებამდე საჭიროა ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის შესაბამისი დასკვნა.

საანალიზო ნიმუშის აღების შემდეგ დაწესებულებაში დარჩენილი ნარკოტიკული საშუალებების ნაშთი ილუქება ლაბორატორიის წარმომადგენლის მიერ.

4. ცენტრალიზებული წესით შეძენილი ან/და ჰუმანიტარული გზით მიღებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამოწრა-განადგურებაზე სავალდებულოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) თანხმობა.

5. განადგურებას ექვემდებარება მხოლოდ დადგენილი წესით ჩამოწერილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები.

6. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების (გარდა ცენტრალიზებულად შეძენილი ან/და ჰუმანიტარული გზით მიღებულისა) განადგურება ხდება მათი დაგროვებისას, მაგრამ არა უგვიანეს ყოველი 30 დღისა.

7. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები კაფსულების, დრაჟეების და ტაბლეტების სახით ნადგურდება დაწვის გზით, ხოლო შპრიც-ტუბები, ფლაკონები და ამპულები – დაჩქვით.

8. განადგურებამდე კომისიის წევრები ამოწმებენ ჩამოწერილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შეფუთვისა და ლუქის მთლიანობას. ლუქის დარღვევის შემთხვევაში ხდება შეფუთვის გადამოწმება და სხვაობის აღმოჩენისას დაუყონებლივ ტარდება კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

9. განადგურების პროცესში დაცულ და გათვალისწინებულ უნდა იქნეს უსაფრთხოების წესები და გასანადგურებელი მასალის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რაოდენობა, განადგურებისას შესაძლო ქიმიური რეაქციები და იმ ადგილის მიზანშეწონილობა, სადაც უნდა მოხდეს განადგურება.

10. განადგურების შემდეგ ჩამოწერის და განადგურების აქტში ფიქსირდება განადგურების თარიღი, ადგილი, მეთოდი, გამოყენებული ტარა, ტრანსპორტი, რასაც ხელმოწერით ადასტურებს კომისიის ყველა წევრი, რის შემდეგაც აქტი მტკიცდება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით; აქტის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სააგენტოს, მეორე ეგზემპლარი - პოლიციას, ხოლო მესამე - რჩება დაწესებულებაში და ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.169

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №01-76/ნ - ვებგვერდი, 30.12.2011წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მარტის ბრძანება №01-14/ნ - ვებგვერდი, 23.03.2012წ.

დანართი №8

**სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების
საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის
ფორმა საბითუმო ბაზისათვის**

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

თვე	ნაშთი 1-ლი რიცხვისათვის	ვისგან არის მიღებული	საბუთის № და თარიღი	რაოდენობა	სერია
1	2	3	4	5	6

გ ა ს ა ვ ა ლ ი						
მთლიანად თვის შემოსავალი ნაშთთან ერთად	ვისზე გაიცა (ლიცენზიის №-ის მითითებით)	საბუთის № და თარიღი	რაოდენობა	სერია	ნაშთი მომდევნო თვის 1-ლი რიცხვისათვის	სულ გასავალი თვის განმავლობაში
7	8	9	10	11	12	13

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა _____
 თარიღი _____
 ბ.ა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 10 თებერვლის ბრძანება №46/ნ-სსმIII, №20, 21.02.2005წ., მუხ.191

დანართი №9

**სპეცილურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების
 გაცემის სპეციალურ ფორმა**

მომწოდებელი ორგანიზაცია:
 მისამართი:
 მომსახურე ბანკი:
 ანგარიშის №
 ფარმაცევტული საქმიანობის
 ლიცენზიის №

მიმღები ორგანიზაცია:
 მისამართი:
 მომსახურე ბანკი:
 ანგარიშის №
 ფარმაცევტული საქმიანობის
 ლიცენზიის №

ხელშეკრულება №

№	სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა, შეფუთვა	ზომის ერთეული	რაოდენობა	სერია
1	2	3	4	5

ვარგისიანობის ვადა	მწარმოებელი კომპანია, ქვეყანა	რეგისტრაციის ნომერი	შენიშვნა
6	7	8	9

მედიკამენტების ხარისხის სერთიფიკატები ინახება ბაზაში

პასუხისმგებელი ფარმაცევტი _____
 გაამზადა _____ გასცა _____ მიიღო _____

დანართი №10

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა ავთიაქისათვის

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი								
თვე	ნაშთი	დოკუმე	რაოდენ-	სერია	დოკუმენ-	რაოდენ-	სერია	სულ

	1-ლი რიცხვისათვის	ნ-ტის ტ და თარიღი	ნობა		ტის № და თარიღი	დე-ნობა		შემოსავალი ნაშთთან ერთად
იანვარი თებერვალი ... დეკემბერი								
1	2	3	4	5	6	7	8	9

გ ა ს ა ვ ა ლ ი									
თვის რიცხვები					სულ გასავალი თვეში	ნაშთი	მატერიალური პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა		
1	2	...	30	31					
10					11	12	13		

ბ.ა.

შენიშვნა:

დანართი №11

საწარმოს განყოფილებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიღება-გადაბარების დოკუმენტის ფორმა

დაწესებულების დასახელება _____
 გაცემა-მიღების დოკუმენტის № _____ თარიღი _____
 სუბსტანციის (პრეპარატის) მიმღები განყოფილების დასახელება _____
 სუბსტანციის (პრეპარატის) გამცემი განყოფილების დასახელება _____
 სუბსტანციის (პრეპარატის) დასახელება, ზომის ერთეული _____
 რაოდენობა _____
 სერია _____
 ვარგისიანობის ვადა _____
 ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ გაცემული ხარისხის სერთიფიკატის № _____
 სუბსტანციის (პრეპარატის) გამცემი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა _____
 მიმღების ხელმოწერა _____
 შეთანხმებულია _____
 (წარმოების ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი)

დოკუმენტი ივსება 3 ეგზემპლარად

დანართი №12

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი					
სუბსტანცი-	მომწოდებელი	ანგარიშ-	სერია,	ზომის	რაოდენობა

ის მიღების თარიღი	განყოფილება	ფაქტურის ნომერი	ვადა	ერთეული	
1	2	3	4	5	6

გ ა ს ა ვ ა ლ ი						პასუხისმგე ბელი პირის ხელმოწერა	შენიშვნა
გაცემის თარიღი	მიმღები განყოფილების დასახელება	მოთხოვნის № და თარიღი	სერია, ვადა	ზომის ერთეული	რაოდენობა		
7	8	9	10	11	12	13	14

დანართი №13

საწარმოს საამქროში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი

სუბსტანციის დასახელება _____

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი					
მიღების თარიღი	ზომის ერთეული	მიღებული რაოდენობა	სერია	მზა პროდუქციის დასახელება	მზა პროდუქციის რაოდენობა დოზის მითითებით
1	2	3	4	5	6

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი (გაგრძელება)		
მზა პროდუქციის სერია, ვადა	მზა პროდუქციაზე გაცემული ხარისხის სერთიფიკატის №, პრეპარატში აქტიური ნივთიერების რაოდენობის მითითებით	პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული სუბსტანციის რაოდენობა
7	8	9

გ ა ს ა ვ ა ლ ი						
მზა პროდუქციის გაცემის თარიღი	გაცემის დოკუმენტის №	მიმღები განყოფილების დასახელება	მიღებული პროდუქციის დასახელება, დოზა, საზომი ერთეული	სერია, ვადა	მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	შენიშვნა
10	11	12	13	14	15	16

დანართი №14

საწარმოს მზა პროდუქციის საწყობში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი

პრეპარატის დასახელება _____

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი				
მიღების თარიღი	მომწოდე ბელი განყოფილება	მზა პროდუქციის მიღების დოკუმენტის № და თარიღი	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	2	3	4	5

გ ა ს ა ვ ა ლ ი				
მიღების თარიღი	მომწოდე ბელი განყოფილება	მზა პროდუქციის მიღების დოკუმენტის № და თარიღი	ზომის ერთეული	რაოდენობა
6	7	8	9	10

დანართი №15

სტაციონარის განყოფილებაში, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების მორიგე პერსონალზე გადაბარების ჟურნალის ფორმა

თარიღი	სამკურნალო საშუალებების დასახელება	რაოდენობა	სერია	სამკურნალო საშუალებები ჩავაბარე (ხელმოწერა)	სამკურნალო საშუალებები მივიღე (ხელმოწერა)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ. 169

დანართი №16

სტაციონარის განყოფილებაში, სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა
სამკურნალო საშუალებების დასახელება, წამლის ფორმა
და საზომი ერთეული _____

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი				
მიღების თარიღი	საიდან არის მიღებული, საბუთის №	რაოდენობა	სერია	მიმღები პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5

გ ა ს ა ვ ა ლ ი					ნაშთი	შენახვაზე და გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
გაცემის თარიღი	ავადმყოფის გვარი, სახელი, მამის სახელი	ისტორიის №	რაოდენობა	სერია		
6	7	8	9	10	11	12

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №27/ნ სსმIII, №14, 05.02.2010წ., მუხ.169

დანართი №17

აქტის ფორმა

სტაციონარში (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში) გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურებაზე

კომისიამ შემადგენლობით (არანაკლებ 3 პირისა):

1. გვარი, ინიციალები და თანამდებობა
2. „
3. „

წელი, რიცხვი, თვე

მოახდინა 200 წლის „_“ „_____“ - დან 200 წლის „_“ „_____“ - მდე პერიოდში დახარჯული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელი ამპულების განადგურება შემდეგი რაოდენობით:

- ა) ნარკოტიკული საშუალებების დასახელება და რაოდენობა (სიტყვიერად)
- ბ) „
- გ) „

რომლებიც გამოყენებულ იქნა სტაციონარში მოთავსებულ ავადმყოფებზე (მიეთითოს ავადმყოფობის ისტორიების ნომრები).

ამპულები განადგურდა გასრესის გზით.

- კომისიის წევრების ხელმოწერა
1. _____
 2. _____
 3. _____

„ვამტკიცებ“ _____
(დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ბ.ა.

აქტი ინახება ხუთი წლის განმავლობაში

დანართი №18

აფთიაქში შემოსული ანგარიშ-ფაქტურების სარეგისტრაციო ჟურნალი

თარიღი	მომწოდებ- ლის და სახ- ელება	ანგარიშ- ფაქტურა	თანხა ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით	ბუღალტერის აღნიშვნა ანგარიშ- ფაქტურის
--------	-----------------------------------	---------------------	---------------------------------	--

											მიღების შესახებ
				მედიკამენტ- ები	შესახვე ვი მასა- ლა	დამხ- მარე მასა- ლა	სამედი- ცინო მოწ- ყობილ- ობა	მცირეფ ასი- ანი საგ- ნები	ტარა	სულ ანგა- რიშის მიხე- დვით	
		№	თარ ილი	სულ	მათ შორის ასაწ ონი						
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

დანართი №19

დანახრული მოთხოვნების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

„_____“ _____ 200 წ.

თარიღი	განყოფილებ ის დასახელება	მოთხოვნების საგნები			ს უ ლ
		მედიკამენტ ები	შესახვევი მასალა	ტარა	
1	2	3	4	5	6

დანართი № 20

**ანალიზისათვის შემოსული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული
ნივთიერებების აღრიცხვის ჟურნალი**

ნივთიერების დასახელება _____
ზომის ერთეული _____

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი					
შემოსვის თარიღი	№ რ.ე.ი. ანალიზის №	ვისგან არის მიღებული, საბუთის №	სერიის ან სინჯის №	რაოდენობა	ხელმოწერა მიღებაზე
1	2	3	4	5	6

გ ა ს ა ვ ა ლ ი					
ანალიზისათვის დახარჯული რაოდენობა	ანალიზის შესრულების თარიღი და ანალიტიკოსის ხელმოწერა	ანალიზის შედეგი	ნაშთი ანალიზის შემდეგ	ანალიზის შემდეგ დარჩენილი ნაშთის ჩაბარების ან განადგურების	ლაბორატო- რიის გამგის ხელმოწერა

				შესახებ აღნიშვნა	
7	8	9	10	11	12

დანართი №21

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებაში და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების აღრიცხვის ჟურნალი

ნივთიერების დასახელება _____
 ზომის ერთეული _____

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი					
მიღების თარიღი	ვისგან არის მიღებული, საბუთის N	სერიის N	რაოდენობა	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	გაცემის თარიღი
1	2	3	4	5	6

გ ა ს ა ვ ა ლ ი					
ვისზე გაიცა, რა მიზნით	რაოდენობა	სერიის №	გაცემაზე ხელისმოწერა	მიღებაზე ხელმოწერა	ნაშთი
7	8	9	10	11	12

დანართი №22

გაუვარგისებულ მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა ჩამოწერა-განადგურების აქტი №

დაწესებულების დასახელება _____

კომისიამ შემადგენლობით: *თავმჯდომარე* _____ *კომისიის წევრები* _____

200 წლის № ბრძანების საფუძველზე შეადგინა წინამდებარე აქტი მასზე, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ფასეულობანი, რომელიც ინახება დაწესებულებაში, გაუვარგისდა და ექვემდებარება ჩამოწერას

№	ნომენკლატურის №	მატერიალურ-სასაქონლო ფასეულობათა დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა			
					საბითუმო		საცალო	
					ფასი	ჯამი	ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9

ს ა დ ა ნ დ ა რ ო დ ი ს შ ე მ ო ვ ი დ ა	გაუვარგისების მიზეზი და ხასიათი,
---	----------------------------------

					ლაბორატორიის დასკვნის № და თარიღი
ანგარიში		მომწოდებელი	სერია	გამოშვების თარიღი	ვარგისიანობის ს ვადა
N	თარიღი				
10	11	12	13	14	15
					16

სულ აქტით _____ დასახელება, თანხით _____ ლარი _____ თეთრი
(რაოდენობა სიტყვიერად) (სიტყვიერად საბითუმო ან საცალო ფასებში)
კომისიის

დასკვნა:

კომისიის თავმჯდომარის და წევრების ხელმოწერები:

აქტს ვამტკიცებ დანაკარგი თანხით _____ ლარი _____ თეთრი _____
(ჩამოეწეროს ან დაეწეროს)
„_____“ _____ 200 წ. დაწესებულების ხელმძღვანელი _____
(ხელმოწერა)

ბ.ა.

აღნიშვნა ჩამოწერილ ფასეულობათა შესახებ (ჰუმანიტარული, გრანტი, სახელმწიფო შესყიდვა – ხაზი გაესვას)

(პრეპარატის დასახელება, ზომის ერთეული, წამლის ფორმა, რაოდენობა, განადგურების მეთოდი,

(განადგურების თარიღი)

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა _____

კომისიის წევრების ხელმოწერა _____

დანართი №23

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 18 იანვარის ბრძანება №30/ნ-სსმIII, №10, 23.01.2008წ., მუხ.132

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 25 სექტემბრის ბრძანება №212/ნ-სსმIII, №146, 03.10.2008წ., მუხ.1457

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელ დაწესებულებაში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესი

1. აღნიშნული დანართი არეგულირებს მხოლოდ იმ ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების (ფარმაცევტული პროდუქტის) (შემდგომში - სამკურნალო საშუალება) მიღების, შენახვის, აღრიცხვის, გაცემისა და განადგურების წესს, რომელიც გამოიყენება ნარკომანიით

დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისას. ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჩანაცვლებითი მკურნალობისას სამკურნალო საშუალებების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

2. სამკურნალო საშუალებების მიღებას, შენახვას, აღრიცხვას, გაცემასა და განადგურებას ახორციელებს ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელი იურიდიული პირები (შემდგომში - დაწესებულება).

3. ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელების მიზნით იმპორტირებული სამკურნალო საშუალებები ინახება შესაბამისი უფლების მქონე იმპორტიორი იურიდიული პირის ავტორიზებულ აფთიაქში, კაპიტალურ შენობაში არსებულ უფანჯრო ოთახში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს რკინის კარებით, ადგილობრივი შუქნმოვანი და პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაციით. აფთიაქი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციის შეიარაღებული სადღეღამისო დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორი იურიდიული პირის ავტორიზებულ აფთიაქს არ გააჩნია შენახვის პირობები, შესაძლებელია სათანადო პირობებისა და უფლებმოსილების მქონე სხვა იურიდიულ პირთან გაფორმდეს ხელშეკრულება სამკურნალო საშუალებების შენახვასა და გაცემაზე.

4. დაწესებულებაში სამკურნალო საშუალებების მიღებაზე, შენახვაზე, აღრიცხვაზე, გაცემაზე და განადგურებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი და მისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილი პირი (პირები).

5. სამკურნალო საშუალებების გადაზიდვა (გადატანა) ხორციელდება მხოლოდ პოლიციის დაცვის თანხლებით.

6. დაწესებულებაში სამკურნალო საშუალებები ინახება მის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურად გამოყოფილ სამარაგო ოთახში (შემდეგში-სამარაგო). სამარაგო წარმოადგენს უფანჯრო ოთახს, აქვს კაპიტალური კედლები, რკინის კარები, ადგილობრივი შუქნმოვანი და 24 საათიანი პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაცია. უზრუნველყოფილია ვიდეოთვალით, რომლის ჩანაწერი ინახება ერთი თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე დაწესებულების რამოდენიმე განყოფილება (მათ შორის საპროცედურო) განთავსებულია ერთ შენობაში, დასაშვებია მათ გააჩნდეთ ერთი (საერთო) სამარაგო, საიდანაც თითოეულ განყოფილებაზე სამკურნალო საშუალება გაიცემა ამ დანართის მე-14 და მე-15 პუნქტების შესაბამისად.

7. დაწესებულებას უფლება აქვს სამარაგოში შეინახოს არა უმეტეს 6 თვის სავარაუდო მარაგი.

8. სამარაგოში სამკურნალო საშუალებების მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და განადგურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირს/პირებს.

9. სამარაგოს გასაღები და ლუქი ინახება დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან.

10. სამარაგოში განთავსებული სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს ამ ბრძანების №24 დანართით გათვალისწინებული ფორმის, ზონარგაყრილ,

დანომრილ და სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ქურნალში.

11. სამარაგოდან სამკურნალო საშუალების განყოფილების საპროცედუროზე გაცემა წარმოებს მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს განყოფილების უფროსი მედდა. მოთხოვნას ხელმოწერითა და ბეჭდით ამოწმებს განყოფილების უფროსი. მოთხოვნა იწერება ლათინურ ენაზე, დასახელების, ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. სამკურნალო საშუალებების გაცემის შემდეგ მოთხოვნის მეორე გვერდზე კეთდება ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული სამკურნალო საშუალების შესახებ, დასახელების, დოზის, სერიის, რაოდენობისა და გაცემის თარიღის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერენ სამკურნალო საშუალების გამცემი და მიმღები პირები.

12. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი უბრუნდება განყოფილებას და ინახება განყოფილების უფროსს მედდასთან, მეორე ეგზემპლარი გადაეცემა დაწესებულების ბუღალტერიას, ხოლო მესამე რჩება სამარაგოს პასუხისმგებელ პირთან და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს, მოთხოვნები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

13. დაწესებულება სამკურნალო საშუალებით მარაგდება იმპორტირებული სამკურნალო საშუალების შემნახველი იურიდიული პირის ავტორიზებული ავთიაქიდან, ამ ბრძანების №2 დანართით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

14. იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას გააჩნია ავტორიზებული ავთიაქი, განყოფილებების სამარაგოზე/სამარაგოებზე სამკურნალო საშუალება გაიცემა ერთჯერადი მოთხოვნისა და მინდობილობის საფუძველზე. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი უბრუნდება განყოფილებას და ინახება განყოფილების უფროს მედდასთან, მეორე ეგზემპლარი გადაეცემა დაწესებულების ბუღალტერიას, ხოლო მესამე რჩება ავთიაქში და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს, მოთხოვნები ინახება ხუთი წლის განმავლობაში. მოთხოვნას ხელს აწერს განყოფილების უფროსი და განყოფილების უფროსი მედდა. მოთხოვნას ხელმოწერითა და ბეჭდით ამოწმებს დაწესებულების ხელმძღვანელი. მოთხოვნა იწერება ლათინურ ენაზე, დასახელების, ფორმისა და დოზის სრული მითითებით. რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. სამკურნალო საშუალებების გაცემის შემდეგ მოთხოვნის მეორე გვერდზე კეთდება ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული სამკურნალო საშუალების შესახებ, დასახელების, დოზის, სერიის, რაოდენობისა და გაცემის თარიღის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერენ სამკურნალო საშუალების გამცემი და მიმღები პირები. ავტორიზებული ავთიაქიდან საპროცედუროზე/საპროცედუროებზე სამკურნალო საშუალების გაცემა ხორციელდება ამ დანართის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, თუ საპროცედუროები და ავტორიზებული ავთიაქი განთავსებულია ერთ შენობაში.

15. განყოფილებიდან პაციენტებზე სამკურნალო საშუალებების გაცემა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილი ოთახიდან (შემდგომში – საპროცედურო), რომელსაც ფანჯრებზე უნდა ჰქონდეს გისოსები. საპროცედუროში სამკურნალო საშუალებები ინახება ცეცხლგამძლე სეიფში, რომლის გასაღები ინახება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირთან. საპროცედუროში ნებადართულია სამკურნალო

საშუალებების არა უმეტეს შვიდი დღის სავარაუდო მარაგის შენახვა. სამუშაო დღის განმავლობაში საპროცედუროს დაცვას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საპროცედუროში ირთება პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაცია.

16. საპროცედუროში შენახული სამკურნალო საშუალებების მიღება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და განადგურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს და მისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გამოყოფილ პირს/პირებს.

17. საპროცედუროში სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დანომრილ, ზონარგაყრილ, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში (დანართი №26).

18. პაციენტისათვის დანიშნული სამკურნალო საშუალების დოზის ყოველი ცვლილება ფიქსირდება ავადმყოფის სამედიცინო ბარათში.

19. სამკურნალო საშუალების გაცემა ხორციელდება საპროცედუროს სპეციალური სარკმლიდან, პაციენტის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სამკურნალო საშუალების მიღების ფურცლის საფუძველზე. სამკურნალო საშუალების მიღების ფურცელის საპროცედუროში გადაცემას უზრუნველყოფს განყოფილების პერსონალი.

20. პაციენტს ეკრძალება საპროცედუროში შესვლა.

21. საპროცედუროს მედდის მიერ სამკურნალო საშუალების გაცემა დანიშნული დოზით ხორციელდება ერთჯერადი ჭიქებით. პრეპარატის მოხმარების შემდეგ პაციენტი ათავსებს ჭიქას მითითებულ ადგილას. პაციენტის მიერ სამკურნალო საშუალების დანიშნულებისამებრ მოხმარება კონტროლდება დაცვის თანამშრომლის ან მედდის მიერ, რაც ვიდეოთვალის მეშვეობით იწერება და ინახება ერთი თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ სამკურნალო საშუალება წარმოდგენილია სუბლინგვალური ტაბლეტირებული ფორმით, სამკურნალო საშუალების მიღების შემდეგ პაციენტი ვალდებულია დაყოვნდეს განყოფილებაში არანაკლებ ხუთი წუთისა. დაცვის თანამშრომელი ან მედდა პაციენტის გასვლის წინ უნდა დარწმუნდეს, გაიწოვა თუ არა პრეპარატი. იმ შემთხვევაში თუ პრეპარატი არ არის გაწოვილი, პაციენტი უნდა დარჩეს განყოფილებაში, ვიდრე არ მოხდება პრეპარატის გაწოვა, რის შემდეგაც მიეცემა განყოფილების დატოვების შესაძლებლობა.

22. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ საპროცედურო განყოფილებაში მომუშავე სამედიცინო პერსონალს შორის (ექიმის სავალდებულო მონაწილეობით), სამკურნალო საშუალებების დარჩენილი ნაშთის გადაბარების წესს ადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, ხოლო მიღება-ჩაბარება ფორმდება ამ ბრძანებით დამტკიცებული №27 დანართის შესაბამისად.

23. სამკურნალო საშუალების გამოყენების შემდეგ დარჩენილი პირველადი შეფუთვა და ტარა ექვემდებარება განადგურებას, დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის (არანაკლებ სამი პირისა) მიერ, რაც ფორმდება ამ ბრძანებით დამტკიცებული №28 დანართით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

24. სამკურნალო საშუალების მიმღები პაციენტის სხვა სტაციონარში სამკურნალოდ მოხვედრის შემთხვევაში, პაციენტი ან მისი წარმომადგენელი წერილობით აცნობებს სტაციონარის ხელმძღვანელობას, რომ ის არის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის მონაწილე პაციენტი. სტაციონარული დაწესებულების ხელმძღვანელობა ვალდებულია არაუგვიანეს 24 საათისა აცნობოს

პაციენტის სტაციონარში მოხვედრის შესახებ დაწესებულებას და მიაწოდოს მას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).

25. დაწესებულება ვალდებულია სტაციონარის შესაბამის განყოფილებას გადასცეს სამკურნალო საშუალების ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია პაციენტის სტაციონარში მკურნალობის პერიოდში. გადასაცემი სამკურნალო საშუალების რაოდენობა ისაზღვრება პაციენტის ინდივიდუალური დოზისა და მისი სტაციონარში დაყოვნების საჭიროების მიხედვით. მკურნალი ექიმი-ნარკოლოგის მიერ პაციენტის სტაციონარულ სამედიცინო ბარათში უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი კონსულტაცია და რეკომენდაცია, სადაც მიეთითება სამკურნალო საშუალების დასახელება, ფორმა და დანიშნული დოზა.

26. სტაციონარი ვალდებულია გააფორმოს მიმწოდებელთან სამკურნალო საშუალების გადაცემა-მიღებაზე მიღება-ჩაბარების აქტი, ამ ბრძანებით დამტკიცებული N29 დანართის შესაბამისად. სტაციონარის განყოფილება ვალდებულია შემოსავალში აიყვანოს პაციენტისათვის განკუთვნილი სამკურნალო საშუალება და კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს მისი აღრიცხვა, შენახვა, სამედიცინო დოკუმენტაციაში გაფორმება, გაცემა და საჭიროების შემთხვევაში განადგურება.

27. სტაციონარში ან ბინაზე მკურნალობისას სამკურნალო საშუალებები გაიცემა დალუქულ მდგომარეობაში, დასახელების, ფორმის, დოზისა და რაოდენობის მითითებით, კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში. პაციენტისათვის განკუთვნილი რაოდენობა გაიცემა დღიური დოზების შესაბამისად დაფასოებული სახით. ლუქის ახსნა ხდება ავადმყოფის თანდასწრებით, უშუალოდ სამკურნალო საშუალების მიღების წინ.

28. პაციენტის ბინაზე მკურნალობის, მივლინებაში გამგზავრების ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებისას სამკურნალო საშუალებების მიმღებს განყოფილების მიერ ეძლევა სამკურნალო საშუალების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი N30). აღნიშნული დოკუმენტი ივსება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეძლევა სამკურნალო საშუალების მიმღებს, ხოლო მეორე რჩება განყოფილებაში.

დანართი №24

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

**სამარაგოში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის
ჟურნალის ფორმა**

სამკურნალო საშუალების: დასახელება, დოზა, ფორმა, საზომი ერთეული

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

თვე და რიცხვი	ნაშთი რიცხვისათვის	1-ლი ვისგან მიღებული	არის საბუთის № და თარიღი	რაოდენობა	სერია
1	2	3	4	5	6
გ ა ს ა ვ ა ლ ი					სამკურნალო საშუალების მიღება, შენახვა, აღრიცხვა და გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
ვისზე გაიცა	გაცემის საფუძველი (მოთხოვნის № და გაცემის თარიღი)	რაოდენობა	სერია	ნაშთი მომდევნო თვის 1-ლი რიცხვისათვის	
7	8	9	10	11	12

დანართი №25

(ამოღებულია - 03.07.2014, №01-40/5)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

დანართი №26

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №212/ნ-სსმIII, №146, 03.10.2008წ., მუხ.1457

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალის ფორმა

თარიღი	ნაშთი დასაწყისისათვის	დღის	შემოსავალი	მიმღები პირის ხელმოწერა

												ა
	სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა და საზომი ერთეული		საიდან არის მიღებული და დოკუმენტის N		სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა და საზომი ერთეული							
						რაოდენობა	სერია	რაოდენობა	სერია	რაოდენობა	სერია	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
გ ა ს ა ვ ა ლ ი								გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა	პაციენტის ხელმოწერა სამკურნალო საშუალებების მიღებაზე	პაციენტის ავადმყოფობის ან სტაციონარში მოთავსების დამადასტურებელი საბუთის № და გაცემის თარიღი		
№	სამკურნალო საშუალების გაცემის თარიღი	სამკურნალო საშუალების მიღების დრო	ავადმყოფის გვარი, სახელი	სამედიცინო ბარათის №	ექიმის მიერ დანიშნული დოზა მილიგრამებში	გაცემული სამკურნალო საშუალების დასახელება, დოზა და რაოდენობა (საზომი ერთეული)						
13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	

შენიშვნა: 23-ე გრაფაში ბინაზე მწოლიარე პაციენტის შემთხვევაში ხელს აწერს მის ნაცვლად მისი ოჯახის წევრი, ხოლო სტაციონარში მოხვედრისას, ჩანაცვლებით პროგრამაში მონაწილე დაწესებულების ექიმი.

დანართი №27

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

**საპროცედუროში ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების ყოველდღიური გადაზარების
ჟურნალის ფორმა**

თარიღი	სამკურნალო საშუალების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	სერია	სამკურნალო საშუალებები ჩავაბარე (ხელმოწერა)	სამკურნალო საშუალებები მივიღე (ხელმოწერა)
1	2	3		4	5	6

დანართი №28

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

აქტის ფორმა ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების გამოყენების შემდეგ დარჩენილი პირველადი შეფუთვისა და ტარის განადგურებაზე

აქტი №

წელი, რიცხვი, თვე, ადგილი:

კომისიამ შემადგენლობით (არანაკლებ 3 პირისა):

1. გვარი, ინიციალები და თანამდებობა
2. “
3. “

მოახდინა 20 წლის “_” ____ “-ს გამოყენებული შემდეგი სამკურნალო საშუალებების პირველადი შეფუთვისა და ტარის განადგურება:

ა) სამკურნალო საშუალების დასახელება: _____

ბ) სერია: _____

გ) ცარიელი პირველადი შეფუთვისა და ტარის დასახელება, რაოდენობა: _____

- კომისიის წევრების ხელმოწერა: 1. _____
 2. _____
 3. _____

“ვამტკიცებ”

(დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ბ.ა.

აქტი ინახება ხუთი წლის განმავლობაში

დანართი N29

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანება №280/ნ-სსმIII, №147, 30.10.2006წ., მუხ.2043

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 25 სექტემბრის ბრძანება №212/ნ-სსმIII, №146, 03.10.2008წ., მუხ.1457

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალებების მიღება-ჩაბარების

აქტის ფორმა

სამკურნალო საშუალებების გამცემი დაწესებულების დასახელება და იურიდიული მისამართი: _____

ტელ: _____

სამკურნალო საშუალებების მიმღები სტაციონარული დაწესებულების დასახელება და იურიდიული მისამართი: _____

ტელ: _____

პაციენტის გვარი და სახელი, ვისთვისაც განკუთვნილია სამკურნალო საშუალება

№	სამკურნალო საშუალებების დასახელება	საზომი ერთეული	სერია	გადაბარების თარიღი	გადაბარებული რაოდენობა	სამკურნალო	სამკურნალო
						სამკურნალო საშუალებების ჩამბარებელი პირის გვარი, სახელი და თანამდებობა	სამკურნალო საშუალებების მიმღები პირის გვარი, სახელი და თანამდებობა

სამკურნალო საშუალების გამცემი პირის ხელმოწერა: _____

სამკურნალო საშუალების მიმღები პირის ხელმოწერა: _____

შენიშვნა: აქტი ივსება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სტაციონარში, ხოლო მეორე – სამკურნალო საშუალებების გამცემი, ჩანაცვლებითი მკურნალობის მიმწოდებელ დაწესებულებაში.

დანართი N30

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008წლის 25 სექტემბრის ბრძანება №212/ნ-სსმIII, №146, 03.10.2008წ., მუხ.1457

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის ბრძანება №01-40/ნ - ვებგვერდი, 04.07.2014წ.

ჩამანაცვლებელი სამკურნალო საშუალების პაციენტზე გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა

სამკურნალო საშუალების გამცემი:

დაწესებულების დასახელება: _____

იურიდიული მისამართი: _____

ტელ: _____

სამკურნალო საშუალების მიმღების გვარი, სახელი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის № _____

პაციენტის ბინაზე მკურნალობისას

მივლინებაში მყოფი პაციენტისათვის

სხვა შემთხვევებისას(მიეთითოს)

დაწესებულების გაცემული საშუალების დასახელება	მიერ სამკურნალო საზომი ერთეული	ექიმის დანიშნული დღიური დოზა	მიერ სულ გაცემული რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5

სამკურნალო საშუალების გამცემი პირის ხელმოწერა _____

სამკურნალო საშუალების მიმღების ხელმოწერა _____

დოკუმენტის მოქმედების ვადა: _____

ბ.ა.